

შპს მათემოტორსი

I

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შპს მათემოტორსი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	14
7. ძირითადი საშუალებები.	14
9. სავაჭრო ვალდებულებები.	15
8. მოკლევადიანი სესხები	15
10. სხვა მოკლევადიანი სესხები	15
11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16
12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
13. . სხვა შემოსავალი	16
14. კომერციული ხარჯები.	17
15. ადმინისტრაციული ხარჯები.	17
16. დადებითი საკურსო სხვაობა.	17
17. ფინანსური შემოსავალი.	18
18. უარყოფითი საკურსო სხვაობა.	18
19. ფინანსური დანახარჯები.	18
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	18

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა	2023-12-31	2022-12-31	2022-01-01
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები 4	70,393	62,163	171,753
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 5	778,857	483,388	936,200
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 6	1,275,392	2,632,383	3,795,022
სულ მიმდინარე აქტივები	2,124,642	3,177,934	4,902,975
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	-
ძირითადი საშუალებები 7	36,505	235,817	307,271
არამატერიალური აქტივები	1,708	1,708	1,707
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	38,213	237,525	308,978
სულ აქტივები	2,162,855	3,415,459	5,211,953
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი 8	-	319,660	951,464
სავაჭრო ვალდებულებები 9	705,020	738,168	615,941
გადასახდელი პროცენტი	-	-1	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	92,461	188,818
ანარიცხები საგარანტიო	-	-	-
ვალდებულებებისთვის			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 10	272,835	330,972	202,792
ფინანსური იჯარის ვალდებულებების	-	-	-
მიმდინარე წილი			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	977,855	1,481,260	1,959,016
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	-	-	-
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების	-	-	-
ვალდებულებები	-	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	977,855	1,481,260	1,959,016
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი			
სააქციო კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2,000	2,000	2,000
	1,183,000	1,932,199	3,250,937
სულ საკუთარი კაპიტალი	1,185,000	1,934,199	3,252,937
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,162,855	3,415,459	5,211,953

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 (1 ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	11	912,878	6,536,511
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	12	(1,267,230)	(4,453,544)
საერთო მოგება		(354,352)	2,082,968
სხვა შემოსავალი	13	231,618	855
კომერციული დანახარჯები	14	(32,048)	(1,144,545)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(172,039)	(2,323,382)
სხვა ხარჯები		(25,739)	-
დადებითი საკურსო სხვაობა	16	3,594	170,452
ფინანსური შემოსავალი	17	2,850	18,552
უარყოფითი საკურსო სხვაობა	18	(141)	(85,115)
ფინანსური დანახარჯები	19	(402,942)	(38,522)
მოგება დაბეგვრამდე		(749,199)	(1,318,738)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		(749,199)	(1,318,738)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1,932,199	-
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1,183,000	(1,318,738)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 6 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
 მთ. ბუღალტერი

ხათუნა გელაშვილი
 გიორგი ბაჯიაშვილი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2022	2,000	3,250,937	-	3,252,937
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1,318,735)	-	(1,318,735)
დივიდენდის განაწილება	-	(86,186)	-	(86,186)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	2,000	1,932,199	-	1,934,199
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(749,199)	-	(749,199)
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	2,000	1,183,000	-	1,185,000

ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 6 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ----- ხათუნა
გელაშვილი
მთ. ბუღალტერი ----- გიორგი
ბაჯიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

		საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
		2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		1044581	7396048
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		-427457	-4409283
გაცემული შრომის ანაზღაურება		-94988	-1457041
გადახდილი გადასახადი		-191770	-971088
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)		-5978	-59588
გადახდილი პროცენტები		-92	-25305
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან		324296	473742
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა			-22186
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან			-22186
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
გაცემული სესხის დაბრუნება			-552726
სესხების დაფარვა/აღება		-319660	
გაცემული დივიდენდი			
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან		-319660	-552726
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		3594	-8420
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:		8230	-109590
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:		62163	171753
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:		70,393	62,163

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 6 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მთ. ბუღალტერი

ხათუნა გელაშვილი

გიორგი ბაჯიაშვილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1. ზოგადი ნაწილი

შპს „მათემოტორსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2005 წლის 04 თებერვალს კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204470063, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მარჯვენა სანაპირო N6, კომპანია დარეგისტრებულია დღეს გადამხდელად.

კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი გელა ბარკალაია (პ.ნ 39001000283)

კომპანიის დირექტორია ავთანდილ გელავა (პ.ნ 01024014473)

კომპანია არ ეწევა ეკონომიკური საქმიანობას.

არარენტაბელობის გამო კომპანიამ შეაჩერა ეკონომიკური საქმიანობა რეგიონებში 2023 წლის პირველ კვარტალში და დაიტოვა მხოლოდ ერთი ობიექტი ქალაქ თბილისში, ხოლო 2023 წლის ნოემბრის შემდეგ საერთოდ შეაჩერა გაყიდვები. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას. რაც შეეხება მიმდინარე 2024 წელს, კომპანიის გაყიდვები შეჩერებულია არარენტაბელურობის გამო.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული

დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ.

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც

დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დნადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

საგზაო ტექნიკა - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2022-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD= 2.6894 ლარი;

1 EUR= 2.9753 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2023	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	69,198	717	3,998
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	1,195	61,441	167,748
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	-	6	7
სულ	70,393	62,164	171,753

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2023	2022	2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	324,276	65,088	98,615
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	111,765	112,938	497,553
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	342,816	302,597	268,876
წინასწარ გადახდილი გადასახადი	-	2,764	71,156
სულ	778,857	483,387	936,200

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალეები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2023	2022	2021
ნედლეული და მასალები	1,275,392	2,632,383	3,795,022
სულ	1,275,392	2,632,383	3,795,022

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღწერვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი/ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზირებადი ძირ.საშ.
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	737,967	82,804	251,483	304,891	407,297	424,410
შემოსვლა	14,038	540	-	-	(9,087)	7,609
გასვლა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	752,005	83,344	251,483	304,891	398,210	432,019
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა	(752,005)	(83,344)	(251,483)	(304,891)	-	(432,019)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	398,210	-
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	(590,307)	(81,475)	(234,142)	(288,290)	(336,522)	(370,847)
ცვეთის ხარჯი	(32,501)	(885)	(5,861)	(7,360)	(20,677)	(21,056)
გასული	-	-	-	-	-	-
ძირითადი საშუალებების					3,786	
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	(622,808)	(82,360)	(240,003)	(295,650)	(353,413)	(391,903)
ცვეთის ხარჯი	(4,307)	(33)	(383)	(308)	(8,292)	(1,003)
გასული	-	-	-	-	-	-
ძირითადი საშუალებების	627,115	82,393	240,386	295,958	-	392,906
დაგროვილი ცვეთა						
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	(361,705)	-

წმინდა საბალანსო

ღირებულება

ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	147,660	1,329	17,341	16,601	70,775	53,563
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	129,197	984	11,480	9,241	44,797	40,116
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	36,505	-

8. მოკლევადიანი სესხები

2023 წლის ბოლოს კომპანიის არ აქვს სასესხო ვალდებულება.

9. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2023	2022	2021
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ.ვალდებულება	705,020	738,168	615,941
სულ	705,020	738,168	615,941

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2023 წლის ბოლოს კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022	2021
სსიპ საპენსიო სააგენტო	203,282		
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	66,153	330,972	202,792
მიღებული ავანსები	3,400	3,400	
სულ	272,835	330,972	202,792

11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2023 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2023	2022	2021
შემოსავალი ავტოტექნომსახურებიდან	114,977	4,777,233	6,925,310
შემოსავალი ავტომობილების და სათადარიგო დეტალების რეალიზაციიდან	797,901	1,759,278	1,227,787
სულ	912,878	6,536,511	8,153,097

12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის 2023 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება:

	2023	2022	2021
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	1,267,230	4,453,544	4,342,060
სულ	1,267,230	4,453,544	4,342,060

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დათვლილი საშუალო შეწონილი ფასთა
მეთოდით.

13. . სხვა შემოსავალი

კომპანიის 2023 წლის სხვა შემოსავალი შედგება:

	2023	2022	2021
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	231,618	855	
სულ	231,618	855	-

14. კომერციული ხარჯები.

კომპანიის 2023 წლის კომერციული დანახარჯი შედგება:

	2023	2022	2021
მარკეტინგული ხარჯი	2,176	13,010	30,747
მიწოდების ხელფასი	19,273	676,553	1,029,806
მიწოდების სხვა ხარჯები	10,599	454,982	590,474
სულ	32,048	1,144,545	1,651,027

15. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2023 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2023	2022	2021
ადმინისტრაციული ხელფასი	24,664	1,049,981	1,176,229
საიჯარო ხარჯი	8,136	703,807	669,733
კომუნალური ხარჯი	83,478	104,480	109,938
საკანცელარიო ხარჯი	1,367	5,795	6,287
საკონსულტაციო ხარჯები	5,285	56,327	65,522
ძირითადი საშუალების ცვეთა	14,326	88,339	135,818
საბანკო ხარჯები	5,928	59,757	62,141
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	28,855	254,896	270,157
სულ	172,039	2,323,382	2,495,825

16. დადებითი საკურსო სხვაობა.

	2023	2022	2021
საბანკო ანგარიშების	-	6,320	5,744
სესხის გადაფასება	-	148,024	86,171
ვალუტაში აღრიცხული კრედიტორული დავალიანება	3594	16,108	16,025
სულ	3,594	170,452	107,940

17. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2023 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2023	2022	2021
საპროცენტო შემოსავლები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,850	18,552	37,849
სულ	2,850	18,552	37,849

18. უარყოფითი საკურსო სხვაობა

	2023	2022	2021
საბანკო ანგარიშების	141	9432	9
მოთხოვნების გადაფასება		75683	52996
სულ	141	85115	53005

19. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2023 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:


	2023	2022	2021
საპროცენტო ხარჯები	92	25,490	9,273
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	14,024	13,032	44,404
მარაგების გაუფასურება	388,826		
სულ	402,942	38,522	53,677

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 6 სექტემბერს.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

მთავარი ბუღალტერი



ხათუნა გელაშვილი

გიორგი ბაჯიაშვილი